

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამდებობის პირთა და უმაღლესი საბჭოს წევრთა ნაწილს ქონებრივი დეკლარაცია არასრულად აქვს შევსებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თანამდებობის პირთა 30-ზე მეტი დეკლარაცია შეისწავლა. შედეგად, დეკლარაციების არასრულად შევსების 5 ფაქტი და კუთვნილი წილების სხვა პირებზე მინდობით გადაუცემლობის 3 შემთხვევა გამოვლინდა.

საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის<sup>1</sup> თანახმად, თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაციაში სრულად ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრების როგორც ქონების, ასევე სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. თანამდებობის პირი ასევე ვალდებულია საწარმოში საკუთარი წილი სამსახურის გავლის ვადით სამართავად სხვა პირს გადასცეს.

## გიორგი მანველიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი



გიორგი მანველიძეს 2019 წლის 18 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ ის არის შპს „I-G“-ის 50% წილის მფლობელი. აღნიშნული ინფორმაცია აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრს არც 2018 წლის და არც 2017 წლის დეკლარაციებში არ ჰქონდა მითითებული, მიუხედავად იმისა, რომ მანველიძე კომპანიის მენილერა 2012 წლიდან. კანონის მოთხოვნის თანახმად, მანველიძემ აღნიშნული წილი, დეკლარირებასთან ერთად, სხვა პირს მინდობით უნდა გადასცეს.

## ხვიჩა შარაშიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი



ხვიჩა შარაშიძეს 2018 წლის 26 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ იგი არის შპს „VOX“-ის 50%-იანი წილის მფლობელი, რაც კანონის შესაბამისად, მინდობით სხვა პირს უნდა გადასცეს. მას ასევე არ აქვს დეკლარირებული, რომ მისი მეუღლე, შორენა ქარცივაძე შპს „HAIR FASHION“-ის 50%-იანი წილის მფლობელი და დირექტორია.

## ზაზა ოქუაშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი



ზაზა ოქუაშვილს 2018 წლის 28 თებერვალს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ მისი შვილები, რატი და გიორგი ოქუაშვილები არიან შპს „ბენმონტი-BENMONT“-ის 50-50%-იანი წილის მფლობელები.

ზაზა ოქუაშვილს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება 2019 წლის 24 იანვარს [შეუწყდა](#).

## დავით ბაციკაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი



დავით ბაციკაძეს 2019 წლის 24 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ მის საკუთრებაშია შპს „როიალ ბათუმის“ 25% წილი, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, საკუთარი წილი სხვა პირისათვის სამართავად არ აქვს გადაცემული. აღნიშნული კომპანიის დირექტორი დავით ბაციკაძის მეუღლე, ნანა ბაჯელიძეა.

## ილია ვერძაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი



ილია ვერძაძეს 2019 წლის 31 იანვარს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ იგი შს „ცდა 2008“-ის 15%-იანი წილის მფლობელია, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, საკუთარი წილი სხვა პირისათვის სამართავად არ აქვს გადაცემული.

## ჯამბულ ხოზრევანიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე



ჯამბულ ხოზრევანიძეს 2018 წლის 2 მარტს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს მითითებული შპს „სენეს“ 100%-იანი და შპს „ჯტას“ 50%-იანი წილის მფლობელობა. კანონმდებლობის თანახმად, გარდა იმისა, რომ ჯამბულ ხოზრევანიძეს აღნიშნული წილების შესახებ დეკლარაციაში უნდა მიეთითებინა, თანამდებობის დაკავებისთანავე ისინი სამართავად მინდობით სხვა პირისთვის უნდა გადაეცა.

## თეონა ბერიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე



თეონა ბერიძეს 2018 წლის 28 თებერვალს შევსებულ [დეკლარაციაში](#) არ აქვს აღნიშნული, რომ მისი მეუღლე, რამაზ ბალაძე არის შპს „ბალაა+“-ის 50%-იანი წილისა და შპს „იქს-სტოუნის“ 33%-იანი წილის მფლობელი.

## თორნიკე კუჭავა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე



თორნიკე კუჭავას 2018 წლის 3 დეკემბერს შევსებულ [დეკლარაციაში](#) მითითებული აქვს, რომ იგი შპს „ჯელ-სვლას“ 20%-იანი წილის მფლობელია, თუმცა კანონის მოთხოვნის მიუხედავად, საკუთარი წილი სხვა პირისათვის სამართავად არ აქვს გადაცემული.

თანამდებობის პირების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაციების შემოწმების საკითხი კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ მიმართავს საჯარო სამსახურის ბიუროს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეისწავლოს კვლევაში აღნიშნული პირების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

1 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33550>